



## პრესრელიზი

### ქართველი ენათმეცნიერისა და ფილოლოგის - მზექალა შანიძის დაჯილდოვება

**14 იანვარი, თბილისი** - 15 იანვარს, სამშაბათს, 17:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3), გაიმართება ქართველი ენათმეცნიერისა და ფილოლოგის, მზექალა შანიძის დაჯილდოვების ღონისძიება.

ღონისძიებაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსანთა დასი და ფონდი „ქართველი“ მზექალა შანიძეს გადასცემენ ჯილდოს.

მზექალა შანიძე გახლავთ ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი. 1953 წლიდან იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი. არის 100-ამდე სამეცნიერო ნაშრომის, თარგმანებისა და მონოგრაფიების ავტორი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ენის განვითარებაში.

#

### საკონტაქტო ინფორმაცია

*მარიამ ჯაბიძე*, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

*მარია წერეთელი*, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: [pr@manuscript.ac.ge](mailto:pr@manuscript.ac.ge)

Web: [www.manuscript.ge](http://www.manuscript.ge)